პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 257 (4767)

1972 წ. 27 დეკემბერი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## პერვუშინის მსოფლიო რეკორდი

სოჭი, 25 დეკემბერი. ძალოსნობაში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დღეს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია 25 წლის ლენინგრადელმა არმიელმა პ. პერვუშინმა (მძიმე წონა). სასიამოვნო სანახავი იყო, როცა ეს ზღაპრული გოლიათივით ბრგე ჭაბუკი იოლად გაუმკლავდა სარეკორდო წონას ატაცში — 175,5 კგ. მან ეს უკვე მეშვიდედ შეიტანა შესწორება ამ ვარჯიშის მსოფლიო რეკორდების ცხრილში. მართალია, პერვუშინმა წონა მხოლოდ მეოთხე, დამატებითი მისვლით დაძლია.

პერვუშინი ვაჟკაცურად ებრძოდა იარაღს აკვრის დროსაც. ორჭიდში მან კარგი შედეგით გაიმარჯვა — 380 კგ (170+210).

ლენინგრადელმა ცალკეულ ვარჯიშებში ქვეყნის ჩემპიონის ორივე ოქროს მედალი დაისაკუთრა და შორს ჩამოიტოვა მეტოქეები, რომელთა შორისაც ი. ტალტსი არ იყო. ოლიმპიური ჩემპიონი სოჭში ჩამოვიდა, მაგრამ სარბიელზე არ გამოსულა. ამ წონაში პრიზიორები გახდნენ უკრაინელი სპორტსმენები ვ. ხალინი (365 კგ) და ი. ონიშჩენკო (360).

ქვემძიმე წონაში დ. რიგერტი, როგორც ცნობილია, არ გამოსულა, რამაც ძალიან გააუფერულა შეჯიბრება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლიდერებმა — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, პერვოურალსკელმა ვ. კოლოტოვმა და ე. პენკოვსკიმ (მოსკოვის ოლქი) ნული მიიღეს.

აქ თავი გამოიჩინა ვოროშილოვგრადელმა ვეტერანმა ა. კიდიაევმა, რომელმაც ორჭიდში ყველაზე უკეთესი ჯამი დააგროვა — 352,5 კგ. მანვე ოქროს მედლები მიიღო საუკეთესო შედეგებისთვის ატაცსა და აკვრაში. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გამარჯვებულის ჯამიც კი ჩამორჩება რიგერტის გუშინდელ შედეგს საშუალო წონაში.

ქვემძიმე წონაში მეორე პრიზიორია ლენინგრადელი ბ. სელიცკი, მესამე — სოხუმელი რ. ტარკილი. ორივემ 340-340 კგ დაძლია და საკითხი სპორტსმენთა საკუთარმა წონამ გადაწყვიტა.

სულ ბოლოს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ზემძიმე წონის ძალოსნები. შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ალექსეევმა (შახტი) ყველას აჯობა, მაგრამ ორჭიდის ჯამში მისი შედეგი იყო 395 კგ (172,5+222,5), ალექსეევმა ორივე ვარჯიშში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა, აგრეთვე, ორი დონეცკელი სპორტსმენი ს. ბატიშჩევი (390) და ნ. კოზინცევი (380).

თასისთვის ბრძოლის ბედი უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო. პრიზი მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა. II ადგილზეა უკრაინის ნაკრები, III — მოსკოვის კოლექტივი.



## ორი დიდი მოგება

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა შედეგები ამ თამაშის 35-ე ტირაჟისა, რომელიც გორკში მოეწყო.

კვლავ მაქსიმალური მოგება — 5000 მანეთი ელის იმ ხალხს, ვინც სპორტის ხუთი სახეობა სწორად ამოიცნო. საქართველოს ზონალურ სამმართველოში ასეთი ორი ბილეთი შემოვიდა. ჩვენს რესპუბლიკაში 135 კაცმა 75-75 მანეთი მიიგო ოთხი სახეობის სწორად ამოცნობით. 3867 კაცმა 3 ნომერი გადახაზა სწორად. ისინი 4-4 მანეთს მიიღებენ.

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო ითვალისწინებს მკითხველთა თხოვნას და აცნობებს მათ, რომ მეტროს „ლენინის მოედნის" სადგურთან „სოიუზპეჩატის" ჯიხურში „სპორტლოტოს" ბილეთების „Б" და „В" ნაწილების ყუთში ჩაშვების ვადა ერთი დღით გაგრძელებულია. შეგიძლიათ ბილეთები ყუთში ჩაყაროთ ყოველი თვის 9, 19 და 29 რიცხვში, 14 საათამდე.

**ი. ლოპატკინი,**
**„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.**



## თბილისის ზღვის მიდამოებში

თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის თაოსნობით ახლახან მოეწყო რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა ტურისტული გადასვლა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე თავი მოიყარა 27 სკოლის 4000-ზე მეტმა მოსწავლემ. თავდაპირველად სტარტი აიღო უფროსი ასაკის მოსწავლეთა მრავალრიცხოვანმა კოლონამ, რომელსაც 25 კმ უნდა გაევლო თბილისის ზღვის ირგვლივ. ცოტა ხნის შემდეგ სტარტზე გამოვიდნენ 10-13 წლის გოგო-ბიჭები. მათ გეზი აიღეს სოფელ ავჭალის მიმართულებით. პატარებს სულ 6 კილომეტრის გავლა უწევდათ, საშუალო ასაკის მოსწავლეებმა კი თბილისის ზღვის აღმოსავლეთით 8 კილომეტრი დაფარეს.

ღონისძიება, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა.

სპორტული სკოლის დირექციამ სპეციალური პრიზი დააწესა იმ სკოლის კოლექტივისთვის, რომელიც ყველაზე მეტ მოსწავლეს გამოიყვანდა სტარტზე და გადასვლისას პროპაგანდისტული ხასიათის ღონისძიებას ჩაატარებდა. ეს პრიზი დაიმსახურა 119-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. კვანტალიანი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. იორდანიშვილი) კოლექტივმა.

**რ. ჟორჟოლიანი,**
**ლენინის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.**

## კარგი ღონისძიება

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თაოსნობით ამ დღეებში რუსთავში მოეწყო ხუთდღიანი თათბირ-სემინარი ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის. ამასთან დაკავშირებით სემინარის მონაწილენი დაესწრნენ ქალაქის რამდენიმე სკოლის ფიზკულტურის გაკვეთილებს.

სემინარი ეწყობოდა იმ სკოლაში, რომელიც მოწმდებოდა. შემდეგ გაკვეთილს არჩევდნენ. საქმიანი შენიშვნები გამოთქვეს რუსთავის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორმა თ. იმნაიშვილმა, ფიზაღზრდის მასწავლებლებმა გ. სულხანიშვილმა (მე-18 საშუალო სკოლა), ა. ხაზიზოვმა (მე-9 სკოლა), შ. ჩემიამ (მე-2 სკოლა), ო. ჭედიამ (მე-10 სკოლა), მ. თოროზაშვილმა (მე-19 სკოლა) და სხვ. სემინარის მუშაობას აკამებდა დახელოვნების ინსტიტუტის წარმომადგენელი შ. მუხიგულაშვილი.

ამ კარგმა ღონისძიებამ რუსთაველ პედაგოგებს დიდი სარგებლობა მოგვცა.

**უ. ფილიევი,**
**რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

## დაიმახსოვრეთ ეს სახელები!

ვარჯიშეები, რომლებიც დღეს გვყავს ლაკაოკი, ძალიან ახალგაზრდები არიან. მიუხედავად ამისა, მათ უკვე მიიქციეს სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ყურადღება.

მოსკოველი ლ. ბოგდანოვა და ვ. ბოიკო (მოსკოვის ოლქი) ქვეყნის ნაკრებში შედიან. ბოგდანოვა 17 წლისაა, მაგრამ უკვე იყო საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის" ჩემპიონი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. მას განსაკუთრებით უყვარს თავისუფალი ვარჯიში ურთულესი ელემენტებით.

არმიელი ბოიკო რუსეთის ჩემპიონია, სულ სხვადასხვა რანგის ტურნირების მრავალგზის მონაწილე. რიგის წინაოლიმპიურ ტურნირში მან II ადგილი დაიკავა ნ. ანდრიანოვის შემდეგ, რომელიც მერე მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

სპორტული სარბიელიდან ნ. კუჩინსკაიას წასვლის შემდეგ ლენინგრადელ ტანმოვარჯიშეთა წარმატებამ საგრძნობლად იკლო. ახლა ისინი განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ 17 წლის გ. ხრიაპინაზე და 14 წლის ფ. გილმუტდინოვაზე, რომლებიც რამდენიმეჯერ უკვე იყვნენ ახალგაზრდული შეჯიბრებების პრიზიორები.

მოწონებას იმსახურებს 18 წლის სამხედრო მოსამსახურე, მოსკოველი ვ. სელიფანოვი. იგი წარმატებით გამოვიდა სოფიის ტურნირში „მეგობრობა".

ამ ტანმოვარჯიშეებიდან ყველამ კარგად დაიწყო სპორტული გზა. შემდგომი წარმატებები დამოკიდებულია მხოლოდ მათზე, მათს შრომისმოყვარეობასა და სპორტისადმი ერთგულებაზე.

**სურათებზე:** დვირზე ვარჯიშობს საბჭოთა პროფკავშირების აბსოლუტური ჩემპიონი გოგონათა შორის ფ. გილმუტდინოვა; ტაიჭზეა ვ. ბოიკო — რსფსრ-ს ჩემპიონი, სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი; სსრ კავშირ — რუმინეთის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გ. ხრიაპინა თავისუფალი ვარჯიშის დროს.

**ნ. ნაუმენკოვის ფოტოები (სატესი).**





## რკინიგზელებმა ყველას აჯობეს

ახლახან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის პირველობა ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 8 კოლექტივმა. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. I ჯგუფში გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა, ხოლო მეორეში — „ლოკომოტივის" ხელბურთელებმა.

„ლოკომოტივისა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ფინალური შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი ნახევარი რკინიგზელებმა წააგეს (7:9), მერე კი გარდატეხა შეიტანეს თამაშში, საბოლოოდ გაიმარჯვეს (18:16) და ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. გადამწყვეტ მატჩში გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა რ. ჭანტურიამ 7 ბურთი გაიტანა, სულ კი მის ანგარიშზეა 33 გოლი. მის გარდა ჩემპიონთა კოლექტივში თამაშობდნენ მეკარე ვარდიაშვილი, დანელია, მალცევი, კემულარია, ჭოლოკავა, ცნობილაძე, კოსტიაკოვი, გობიანიძე, კორძაია და მწვრთნელი ნ. ქაშაკაშვილი.

საპრიზო სამეული ასეთია: 1. „ლოკომოტივი", 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

**ტ. ბულბიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**



## „ლელო“ წერილების კვალდაკვალ

ფიზკულტურის კოლექტივის საანგარიშო კრებას, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, ჩვენ არ დავსწრებივართ. ეს არც ყოფილა აბაშის მექანიკურ ქარხანაში ჩვენი სტუმრობის მიზანი. ამჟამად „ლელოს“ ფურცლებზე ამას წინათ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის კვალს მივყვებოდით.

ქარხანაში იმ დროს მივედით, როცა ერთი ცვლა მეორეს უთმობდა ვახტს. საწარმოს დირექტორი შ. ნიორაძე გვიამბობს: ჩვენთან ძირითადად ახალგაზრდები მუშაობა უზეიმიათ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რაიონულ სპარტაკიადაში.

ქარხანაში განსაკუთრებით ბევრი მოყვარული ფეხბურთს ჰყავს. ჩვენც რამდენიმე სიტყვით სწორედ სპორტის ამ სახეობაზე გვინდა შევჩერდეთ. ბიჭებს რეგულარულად ვარჯიშის პირობები არა აქვთ. სათამაშო მინდორი ახლომახლოც არსად არის. უწინ, ქარხნისა და სხვადასხვა ობიექტის გაშენებამდე, ამ ტერიტორიაზე იპოდრომი ყოფილა და, ცხადია, ასპა-

# როცა თავკაცი სცოდავს „ამირან გულში მღეროდა“ ჰბაძავენ... სიყალბეში თანხები დანიშნულებისამებრ არ იხარჯება

ზენ. ცხადია, სპორტს მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც აქვე, ქარხნის ტერიტორიაზე, მოვაწყვეთ რაიონში საუკეთესო კომპლექსური სპორტული მოედანი კალათბურთისა და ფრენბურთის სათამაშოდ. ხშირად რაიონული პირველობების მასპინძლებიც ვართ.

კოლექტივის დანარჩენ წარმატებებზე და მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე ჩვენს მიერ უკვე ხსენებული საანგარიშო კრების მასალები მეტყველებენ. ფეხბურთელები ბევრჯერ ყოფილან რაიონის თასის მფლობელნი, წლეულს რაიონის პირველობაში III, „განთიადის“ კოლექტივებთან შეჯიბრებაში კი II საპრიზო ადგილი მოუპოვებიათ; ფრენბურთელებს ჩემპიონი მობურთალთაც ჰქონიათ. აქ სულიკო კიზირიას მეგობრებთან ერთად, როგორც თავად გვითხრა, ბევრჯერ უთამაშია ფეხბურთი. კიზირია მრავალმხრივი სპორტსმენია და ქარხნის ფიზკულტურელებს თავკაცად აურჩევიათ. მას კარგა ხანია მოფიქრებული ჰქონდა იპოდრომიდან თავისუფლად დარჩენილი ტერიტორიის ნაწილის ფეხბურთის მინდვრად გამოყენება. არ უთქვამს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა, რაიონულ გაზეთში დაწერა: „გადავხანით ჩვენს ქარხანასა და პურპროდუქტების აბაშის პუნქტს შორის მდებარე მინდორი, სადაც განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ფეხბურთის მოედანი“.

ამას წინათ ჩვენს კორესპონდენტს კიზირიამ და მისმა მოადგილემ გ. გვაზავამ ეს ადგილი აჩვენეს: აქ ფეხბურთის მინდორი იყო, რომელიც დირექტორის მითითებით გადაიხნაო. ამირან გულში მღეროდაო, სწორედ ამათზე ყოფილა ნათქვამი. ამ გადახნულ ტერიტორიას ფეხბურთის მინდორი რომ არასოდეს რქმევია, ქარხნის მთელმა კოლექტივმა იცის. კიზირიას კი ოცნება არ ასვენებდა: ეს ადგილი ხან საფეხბურთო მინდვრისთვის გამოსადეგად ეჩვენებოდა (როცა რაიონულ გაზეთში წერილს წერდა), ხან უკვე მოწყობილ სარბიელად მიაჩნდა (როცა ფიზკულტურის კოლექტივის საანგარიშო ფორმაში ფეხბურთის მინდორიც შეჰქონდა). სხვათა შორის, რაიონის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ახალი საამქროს მშენებლობის დაწყებამდე ეს ტერიტორია გატყიურებისგან დასაცავად გადაიხნა.

საანგარიშო კრებაზე მართლაც გულახდილად და პრინციპულად უმსჯელიათ ავ-კარგზე. კიზირია და გვაზავა გადაურჩევიათ ხელმძღვანელობიდან. ახალარჩეულ საბჭოს შემადგენლობას (თავმჯდომარე რ. სიმონია) სპორტული სექციებისთვის ახალი თავკაცები შეურჩევია. მოუწესრიგებიათ ჟურნალები და სააღრიცხვო დოკუმენტები. მხედველობიდან არც მშდ კომპლექსი გამორჩენიათ. მაგრამ გვაოცებს ერთი ამბავი: როგორ მოხდა, რომ ფიზკულტურელთა ახალი თავკაცი, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, მშდ კომპლექსის რამდენიმე ნორმატივი ჩავაბარეო, ოქმებში არ ირიცხება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ახალარჩეული საბჭოს წევრები ჯერჯერობით მხოლოდ სიყალბეში ბაძავენ თავიანთ წინამორბედებს.

დაბოლოს, ვნახოთ როგორ აისახება ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტში. იმ ერთადერთი სხდომის ოქმით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ჩვენ გვიჩვენეს, კალაპოტში აღარ ეტევა, დუღს და გადმოდუღს სპორტული ცხოვრება. ფულის ხელგაშლით ხარჯვას ისე გაუტაცნიათ, სასწავლო-სპორტული მუშაობისთვის განკუთვნილი 534 მანეთიც კი სპორტული ინვენტარისთვის „მოუხმარებიათ“. საკითხავია, რატომ იზიდავთ აგრერიგად მაინცდამაინც ფორმისა და ინვენტარის შეძენა (სხვათა შორის, მათი ნაწილი ადგილზე არ აღმოჩნდა) და სასწავლო-სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილი თანხიდან რატომ არაფერი იხარჯება დანიშნულებისამებრ?!

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

აბაშა.



### რთულ მდგომარეობაში

სამი პრეტენდენტის მატჩ-ტურნირში, რომლის მონაწილენიც ფიდე-ს საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლებისთვის იბრძვიან, გუშინწინ შედგა ბოლოსწინა ტურის შეხვედრა ვ. კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის.

ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია რთულ მდგომარეობაში გადაიდო.

### ჰასტინგსში გაემგზავრნენ

გუშინწინ მოსკოვიდან ჰასტინგსში (ინგლისი) გაემგზავრნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი (მოსკოვი) და სსრ კავშირის მე-40 ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა). საბჭოთა მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ საშობაო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ახალი წლის წინადღით დაიწყება.

### ორი საგზურისთვის

მსოფლიოს მომავალი პირველობის საზონათშორისო ტურნირის ორი საგზურის გათამაშება დიდოსტატ ვ. სავონს (ხარკოვი), ოსტატებს მ. მუხინსა (ალმა-ათა) და გ. კუზმინს (ვოროშილოვგრადი) შორის სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ მოსკოვში დანიშნა 5-დან 15 იანვრამდე. მეტოქენი ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

## ბოლო ეტაპის ფინიშთან



როგორც ვიტყობინებოდით, კვირას გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მძლეოსნური ესტაფეტა „თბილისის წრე“, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ბოლო ეტაპზე მოასპარეზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. ზავრაშვილი ფინიშთან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# კიროვაკანში — სტუმრებმა, ლენინაკანში — მასპინძლებმა

ამას წინათ ბათუმელი ხელბურთელები და კალათბურთელები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მოძმე სომხეთს ეწვივნენ. სტუმრებს — „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს სპორტსმენებს რამდენიმე შეხვედრა უნდა გაემართათ „აშხატანქის“ გუნდებთან.

პირველი შეხვედრები კიროვაკანში ჩატარდა. ბათუმელებმა მოიგეს ხელბურთელ ვაჟთა და ქალთა, აგრეთვე, კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებები.

შემდეგ მეტოქეებმა ლენინაკანში გადაინაცვლეს. აქ კი უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — სომეხმა სპორტსმენებმა რევანში აიღეს.

ბათუმელებმა დაათვალიერეს კიროვაკანისა და ლენინაკანის ღირსშესანიშნაობანი, სპორტული ბაზები.

(ჩვენი კორ.).

## 50 საპრიზო ადგილების წყალობით

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის XIV საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში ხუთი სახეობა შედიოდა. ღონისძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებასაც ითვალისწინებდა.

ტურნირში მონაწილეობდნენ რაიონების აღნიშნული პროფკავშირების ნაკრები გუნდები. ლენინის რაიონის სპორტსმენებმა ყველას აჯობეს მძლეოსნობაში და კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში. მათვე სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრეს საერთო კომპლექსურ ჩათვლაშიც.

კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესნი 1 მაისის რაიონის სპორტსმენები აღმოჩნდნენ, ცურვაში 26 კომისრის რაიონის გუნდმა იმარჯვა, მაგიდის ჩოგბურთში პირველობა ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა მოიგეს, ხოლო ტყვიის სროლაში საუკეთესო იყო კიროვის რაიონის ნაკრები.

კომპლექსურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ ორჯონიკიძის, III — 26 კომისრის რაიონის ფიზკულტურელები. 26 კომისრის რაიონის ნაკრებმა 1 მაისის რაიონის კოლექტივს მეტი საპრიზო ადგილის წყალობით აჯობა.

„სპარტაკის“ საბჭომ სპარტაკიადა კარგად ჩაატარა.

**დ. ნანობაშვილი,**
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

### ჭადრაკის სამყაროში

**თბილისი**

დამთავრდა სპორტკლუბ „უშბის“ საჭადრაკო პირველობა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში 32 მუშა და მოსამსახურე მონაწილეობდა. ფინალში I ადგილი დაიკავა მთავარი მექანიკოსის განყოფილების ინჟინერმა თ. გარსევანიშვილმა, II — მეორე საამქროს ხარატმა, ოსტატობის კანდიდატმა ე. კუშჩიანმა, III — ტექნოლოგიური განყოფილების ინჟინერმა გ. კახეთელიძემ. საუკეთესონი პრიზებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**ო. ალხანიშვილი,**
პირველობის მთავარი მსაჯი.

აკრძალული ილეთი.

ა. სააკოვის ფოტო.



## ნ. ჩხატარაშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო



# ფეხბურთელი, მსაჯი, მწვრთნელი...

არიან ადამიანები, რომელთათვისაც ფეხბურთი წარმოადგენს არა მარტო გატაცებისა და ტრფობის საგანს, არამედ ცხოვრების მიზანს, უმთავრეს, კონკრეტულ იდეალს, ურომლისოდაც გაძლება არ შეუძლიათ.

ჩვენ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც ბრწყინვალედ თამაშობდნენ ფეხბურთს ან შესანიშნავად მსაჯობდნენ და მერე მაინც სხვა გზა აირჩიეს ცხოვრებაში. ვიცნობთ პროფესიულ მწვრთნელებსაც, საბოლოო არჩევანი რომ ტყავის ბურთი არა ჰქონიათ.

მაგრამ ვიცნობთ ადამიანებსაც, რომელთათვისაც ფეხბურთი იყო, არის და დარჩება ერთადერთ უმთავრეს მოწოდებად. „ჰო" თუ „არა" მათთვის არ არსებობს. არის მხოლოდ „ჰო".

ასეთი კაცია თქვენთვის ყველასთვის ცნობილი ნესტორ ჩხატარაშვილი — ფეხბურთელი, მსაჯი, მწვრთნელი, რომელიც ბევრს მინდორზე გინახავთ მოთამაშედ, უფრო მეტს — მსაჯად, კიდევ უფრო მეტს — საქართველოს საუკეთესო გუნდების მწვრთნელად და ხელმძღვანელად.

დღეს 60 წლისაა ნესტორ ჩხატარაშვილი. ასაკი მცირე როდია. თითქოს, ბურთით დამაშვრალმა კაცმა დასვენებაზეც უნდა იფიქროს და მოუსვენარი, შფოთიანი საფეხბურთო ცხოვრებიდან დაწყნარებულად გადაინაცვლოს ტრიბუნებზე. მაგრამ ასეთ დასვენებამდე ჯერ სადაა! სამუშაო თავზე საყრელია, ათასი საქმე ელის კაცს.

... ყველაფერი დაიწყო იმ უბანში, სადაც ნესტორ ჩხატარაშვილი ცხოვრობდა ბავშვობაში — არსრაიონში. მაშინდელი მილიუტინისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ახლა საშუალო სკოლის შენობა რომაა, დაუსახლებელი სწორი მოედანი იყო, რომელიც იქაური ახალგაზრდობის საყვარელ ადგილს წარმოადგენდა. არსრაიონი, საერთოდ, საფეხბურთო უბანი იყო თბილისში. სწორედ ამ მოედანზე „აიდგეს ფეხი" კ. სოლტანმა, მ. ასლამაზოვმა, მ. იამშანოვმა, გ. სიხარულიძემ, ა. გონელმა, შ. ღუდუშაურმა, ბ. ვორონოვმა, მ. მესხმა, კ. შაიშმელაშვილმა, ს. კლოცმა, ს. პანდელოვმა, ძმებმა ხანდამოვებმა და სხვებმა. დილიდან დაღამებამდე არ წყდებოდა არსრაიონში ბურთის ხმა, გუნდები გუნდებს ცვლიდნენ, მოთამაშეები — მოთამაშეებს. თამაში, არსებითად, შეუჩერებლივ მიმდინარეობდა.

აქ დაიწყეს ბურთის თამაში ნესტორმა და მისმა უმცროსმა ძმამ შალვამ. მათი პარტნიორები იყვნენ ბ. კიკვაძე, ს. სიხარულიძე, გ. ახმეტელი, მ. ღვინიაშვილი, გ. აფრიდონიძე, გ. ჭუმბურიძე, ს. აკოფოვი და სხვ. პატარებს აქ არავინ უშლიდა ხელს გარდა... უფროსებისა. ძალა, მოგეხსენებათ, აღმართს ხნავს. მოვიდოდნენ დიდები, გაყრიდნენ პატარებს, რათა თვითონ დაუფლებოდნენ მინდორს. საქმე ბოლოს იმით თავდებოდა, რომ იმართებოდა იმპროვიზებული მატჩები „დიდებსა" და „პატარებს" შორის.

ეს იყო დაახლოებით 1925-26 წლებში. მერე ამ ბაზაზე შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაციის გუნდი, ცნობილი ტსპო-ს სახელით. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ნ. ჩხატარაშვილი. 1933 წლისთვის გუნდში იყვნენ პირველხარისხოვანი მეკარე კ. სოლონინი, შ. რამიშვილი, ლ. ლოლაძე, ა. მინჯია, ოდნავ მოგვიანებით — გ. ჯეჯელავა, ს. შუდრა, ვ. ჩერედნიჩენკო, ტ. აფანასიევი. გუნდის პირველი მწვრთნელები იყვნენ დ. მდივანი, კ. ლარიონოვი, კ. კრავჩენკო.

1935 წლისთვის ტსპო ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი იყო საქართველოში. ამ გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის „ლოკომოტივი" და აქაც ინიციატორთა და მოთავეთა შორის იყო ნ. ჩხატარაშვილი, უწინდებურად გუნდის კაპიტანი და ერთ-ერთი უპირველესი მოსარჩლე. უკვე ერთი წლის შემდეგ თბილისში მოეწყო რკინიგზელთა საკავშირო პირველობა მოსკოვის, ხარკოვისა და თბილისის გუნდების მონაწილეობით, სადაც თბილისელებმა დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს.

1936 წლიდან მოყოლებული, რაც სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატებს ჩაეყარა საფუძველი, თბილისის „ლოკომოტივი" თანდათან ძლიერდებოდა, იწრთობოდა, სულ უფრო უკეთეს შედეგებს აღწევდა საკავშირო ასპარეზზე და 1939 წელს, როცა წარმატებით იასპარეზა II ჯგუფის 18 გუნდს შორის, საწადელსაც მიაღწია — უფლება მოიპოვა ეთამაშა I ჯგუფში, ესე იგი უმაღლეს ლიგაში. მაშინ ნ. ჩხატარაშვილის თანაგუნდელებს სხვებთან ერთად შეემატნენ მ. ბოლოტინი, ბ. ჩიტაია, მ. ჩახუნაშვილი, შ. ჯოჯუა, ს. ნინუა, მ. ჭელიძე, გ. იოსელიანი, ვ. პანიუკოვი, ი. ლობჟანიძე, გ. ქურციკიძე, მ. ცენტერაძე და სხვ.

ომისწინა წელს ნ. ჩხატარაშვილი დაშავდა, გამოეთხოვა მწვანე მინდორს და „დინამოს" სპორტსაზოგადოებაში შეუდგა მუშაობას მწვრთნელად.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ნ. ჩხატარაშვილი საბჭოთა არმიის რიგებშია და ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს. იმ მძიმე, ქარცეცხლიან პერიოდში გადაწყდა თბილისის ოფიცერთა სახლთან შეექმნათ საფეხბურთო კოლექტივი და ეს ძნელი, საპასუხისმგებლო მისია ნ. ჩხატარაშვილს დაეკისრა. სათითაოდ ეძებდა მწვრთნელი მოთამაშეებს ჯარის ნაწილებში, ჰოსპიტლებში, დემობილიზებულთა შორის, ახალგაზრდებში, თავს უყრიდა მათ, ავარჯიშებდა, ამზადებდა. გუნდის პიონერები იყვნენ ი. ლობჟანიძე, ვ. რამიშვილი, ა. დიაჩენკო, ა. კელეჯიანი, ნ. ნაუმცევი, ა. იკონიკოვი, ა. ორლოვი, გ. ნიკურაძე, შ. ჯოჯუა, ა. მინჯია, გ. ჭუმბურიძე და სხვ.

ტოდო — ასე ერქვა მაშინ ამ გუნდს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ფეხბურთის განვითარების ისტორიაში. ახალგაზრდებს, ვისაც არ უნახავს იგი მინდორზე, შეუძლიათ ჰკითხონ უფროსებს თუ როგორი იყო ტოდო — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი და პასუხს მუდამ ერთნაირს მიიღებენ: ეს იყო შესანიშნავი, მეგობრული, მონოლითური, ძალიან ძლიერი, მაღალი კლასის კოლექტივი. კითხვა-პასუხს რომ თავი დავანებოთ, მოვიყვანთ ფაქტს.

1946 წლის დასასრულს საფრანგეთში გასამგზავრებლად თბილისში ემზადებოდა მაშინდელი მრისხანე ცდკა, საბჭოთა ფეხბურთის იმდროინდელი ლიდერი, გაძლიერებული სხვა კლუბების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელით. აი, ეს გუნდი საკონტროლო მატჩში შეხვდა ტოდო-ს. ვინ თამაშობდა იმ დღეს მოსკოველთა რიგებში? ფედოტოვი, ბ. პაიჭაძე, ნიკოლაევი, დიომინი, გრინინი, ა. პონომარიოვი, ნიკანოროვი, ჩისტოხვალოვი, ლიასკოვსკი და სხვა კორიფეები. ვინ იცავდა თბილისელთა რიგებს? მოვიყვანთ გუნდის სრულ შემადგენლობას: კელეჯიანი, ნიკურაძე, ბაშაშკინი, შ. ჯოჯუა, ლობჟანიძე, რამიშვილი, მერკულოვი, ხინთიბიძე, კეშელავა, ნარიმანიძე, საააკაშვილი.

იოლი საწვრთნელი მატჩის ნაცვლად მოსკოველებს უმძიმესი ბრძოლა გადახდათ. ფეხბურთის გიგანტებმა ყველაფერი გააკეთეს თავიანთი მაღალი პრესტიჟის დასაცავად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და საბოლოოდ ფრესაც დიდი სიხარულით მოაწერდნენ ხელს, რომ შეძლებოდათ. თბილისელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, გასაქანი არ მისცეს მეტოქეს და დაამარცხეს იგი. გოლი საააკაშვილმა გაიტანა — 1:0.

ასეთი იყო ტოდო — შეუპოვარი და მებრძოლი, ტექნიკური და შეთამაშებული, მეგობრული და გამტანი. როცა სპეციალისტები იხსენებენ ამ გუნდს, ეჭვი არც ერთს არ ეპარება, რომ მას ახლაც დამსახურებულად ექნებოდა ადგილი უძლიერესთა შორის. თბილისელმა არმიელებმა მერე მოიპოვეს კიდეც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, მაგრამ ეს მოხდა მაინცდამაინც 1952 წელს, როცა არმიული საფეხბურთო კლუბები საერთოდ დაშალეს საბჭოთა კავშირში და მათი ბედი თბილისელებმაც გაიზიარეს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ოფიცერთა სახლის გუნდი იყო ნ. ჩხატარაშვილის, როგორც მწვრთნელის, შემოქმედებითი მიღწევების მწვერვალი. მან მთელი ნიჭი და უნარი შეალია თბილისელ არმიელთა კოლექტივს და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ატარა იგი.

უფრო ნათელი რომ იყოს სურათი თუ ვის ზრდიდა და [illegible], ვინ გამოჰყავდა ასპარეზზე ნ. ჩხატარაშვილს, გთავაზობთ ტოდო-ს სხვადასხვა წლების მოთამაშეთა არასრულ სიას: ვ. ჟმელკოვი, ვ. კუდრიავცევი, რ. მათევოსიანი, პ. ტიტოვი, გ. ავეტისოვი, ს. ჯეჯელავა, ი. შუდრა, კ. ლოგინოვი, ა. ნორაკიძე, ნ. გოგლიძე, მ. ჯოჯუა, ს. ესაკია, კ. სიხარულიძე, ბ. მექვაბიშვილი, ა. ვარდიაშვილი, ე. დალაქიანი, კ. ბეგლარიანი, ი. კურტანიძე, ე. თორაძე, რ. ჭანჭალეიშვილი, თ. მელაშვილი, ვ. ჩაიჩუკი, ბ. კოვერზნევი, ა. ზაიცევსკი, ა. არხიპოვი, კ. ნაზაროვი, ვ. გრიშინი, შ. ჭრელაშვილი, გ. კვირკველია, თ. კუბლაშვილი, მ. გამყრელიძე, ა. პაიჭაძე, ბ. სიჭინავა, დ. ხუნდაძე, ა. ხელაძე, მ. მიროშნიკოვი, მ. მიქაძე, ვ. და ა. ივანოვები, რ. ოსაძე, ნ. ახალკაცი, ვ. გვარამაძე, ბ. ტაბიძე და ბევრი სხვა.

ამავე პერიოდში მსაჯობდა მატჩებს ნ. ჩხატარაშვილი და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი იყო საბჭოთა ფეხბურთში. მას უმსაჯია სსრ კავშირის თასის ფინალი, ჩემპიონატის ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩები, მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიური თამაშების მნიშვნელოვანი შეხვედრები, რისთვისაც ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა ქვეყანაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიიღო.

1959-62 წლებში ნ. ჩხატარაშვილი თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი იყო, შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა ბათუმში, რუსთავში, გორში, გურჯაანში, იყო ქუთაისის „ტორპედოს" კოლექტივის უფროსი, 1968 წლიდან კი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში ხელმძღვანელობდა ოსტატთა გუნდების საქმიანობას.

1971 წლიდან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი ისევ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსია, კვლავ დაუღალავად, მთელი თავისი მდიდარი გამოცდილებით ემსახურება ქართული ფეხბურთის განვითარებისა და წინსვლის საშვილიშვილო საქმეს.

უნდა ნახოთ, როგორ ხვდებიან ნ. ჩხატარაშვილს ყველგან, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მისი აღზრდილები, კოლეგები, გულშემატკივრები, მაყურებლები — ხალისით, სიყვარულით, სიხარულით. ნესტორს ყველგან იცნობენ, როგორც გულღია, მოსიყვარულე, უანგარო, კაცურ კაცს, ამიტომ აქვს მას დამსახურებული ეს საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული.

60 წელი ცოტა არაა, მაგრამ არც ბევრია. ნ. ჩხატარაშვილი კვლავ ფეხბურთის სამსახურშია, კვლავ მთელი თავისი არსებით და უნარით, მთელი ენერგიით იღვწის ქართული ფეხბურთის ახალი გამარჯვებებისთვის.

ბ. ქორქია.

---

**ფეხბურთი**

## სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

### პრიზიორთა შესახებ

სსრ კავშირის პირველობათა ისტორიაში ჩემპიონის წოდება მოპოვებული აქვს სულ 7 გუნდს. აქედან მოსკოვის „დინამოს" — 10-ჯერ, მოსკოვის „სპარტაკს" — 9-ჯერ, ცსკა-ს — 6-ჯერ, კიევის დინამოს — 5-ჯერ, მოსკოვის „ტორპედოს" — 2-ჯერ, თბილისის „დინამოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" — თითოჯერ.

მოსკოვი 27-ჯერ იყო ჩემპიონის რეზიდენცია, კიევი — 5-ჯერ, თბილისი და ვოროშილოვგრადი — თითოჯერ.

ვერცხლის პრიზიორი სულ იყო 9 კლუბი: მოსკოვის „დინამო" — 10-ჯერ, კიევის „დინამო" — 6-ჯერ, მოსკოვის „სპარტაკი" — 5-ჯერ, თბილისის „დინამო" — 4-ჯერ, ცსკა, მოსკოვის „ტორპედო" — 3-3-ჯერ, მოსკოვის „ლოკომოტივი", როსტოვის ასკ, ერევნის „არარატი" — თითოჯერ.

ბრინჯაოს მედლების მფლობელი იყო 10 კლუბი. აქ წინ არიან თბილისის დინამოელები — 10-ჯერ. შემდეგ მოდიან: მოსკოვის „სპარტაკი" — 7-ჯერ, ცსკა — 6-ჯერ, მოსკოვის „ტორპედო" — 3-ჯერ, მოსკოვის „დინამო", მინსკის „დინამო" — 2-2-ჯერ, კიევის „დინამო", დონეცკის „შახტიორი", ბაქოს „ნეფთჩი", მოსკოვის „მეტალურგი" — თითოჯერ.

### სსრ კავშირის თასი

თასის გათამაშებათა ისტორიაში პრიზი მოპოვებული აქვს სულ 9 გუნდს. ესენი არიან: მოსკოვის „სპარტაკი" — 9, მოსკოვის „ტორპედო" — 5, მოსკოვის „დინამო", ცსკა — 4-4, კიევის „დინამო" — 3, მოსკოვის „ლოკომოტივი", დონეცკის „შახტიორი" — 2-2, ლენინგრადის „ზენიტი", ლვოვის „კარპატი" — 1-1.

თასის ფინალისტები იყვნენ შემდეგი გუნდები: თბილისის „დინამო" — 5, მოსკოვის „დინამო", „ტორპედო", „სპარტაკი" — 4-4, ცსკა, ლენინგრადის „ზენიტი", როსტოვის ასკ — 2-2, დონეცკის „შახტიორი", მინსკის „დინამო", ერევნის „არარატი", ლენინგრადის „კრასნაია ზარია", ქ. კალინინის გუნდი, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ორეხოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდა", ტაშკენტის „ფახთაქორი" — 1-1.

### სხვადასხვა

თუ მხედველობაში მივიღებთ სსრ კავშირის პირველობათა გათამაშებებს 1936 წლამდეც, ესე იგი, როცა პირველობისთვის იბრძოდნენ ქალაქების ნაკრები გუნდები, ყველაზე მეტჯერ ჩემპიონის წოდება მოპოვებული აქვს მოსკოვის „დინამოს" განთქმულ მარცხენა გარემარბს ს. ილინს — 7-ჯერ. ეს წოდება 6-ჯერ მიიღეს მისმა თანაკლუბელმა მ. სემიჩასტნიმ და მოსკოვის არმიელმა ვ. დიომინმა.

თბილისის „დინამოს" 13 ფეხბურთელის გარდა, რომელებსაც 1964 წელს გადაეცათ ჩემპიონთა ოქროს მედლები, კიდევ 4 ქართველი ფეხბურთელია, სხვა გუნდებში რომ მიიღეს ჩემპიონობა: ვ. სანაია (მოსკოვის „დინამო"), ს. მეტრეველი (მოსკოვის „ტორპედო"), ა. კავაზაშვილი და ჯ. სილაგაძე (ორივე — მოსკოვის „სპარტაკი"). მათგან მეტრეველი და კავაზაშვილი ორ-ორჯერ იყვნენ ჩემპიონები.

### სპორტის დამსახურებული ოსტატები

ეს საპატიო წოდება მინიჭებული აქვს საბჭოთა ქვეყნის 13 ქალაქის 177 ფეხბურთელს. მათგან 21 თბილისის წარმომადგენელია.

პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ქართულ ფეხბურთში იყო შ. შავგულიძე.

### სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები

ეს მაღალი წოდება მიკუთვნებული აქვს ექვს ქართველ სპეციალისტს. პირველი, რომელმაც მიიღო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება, იყო დ. ცომაია (1958 წ.), საერთოდ კი ფეხბურთში ეს წოდება პირველად მიეკუთვნა გ. კაჩალინს (1956 წ.).

### მსაჯები

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება საბჭოთა ქვეყანაში აქვს 240-მდე კაცს, მათ შორის 12 საქართველოდანაა.

ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება პირველმა მიიღო კ. კრავჩენკომ.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიკუთვნებული აქვს 13 არბიტრს, რომელთაგან ორი თბილისიდანაა: ნ. ჩხატარაშვილი (1953 წ.) და კ. ყრუაშვილი (1969 წ.).

23 არბიტრი, რომლებმაც იმსაჯეს საკავშირო ჩემპიონატის 100 და მეტი მატჩი, დაჯილდოებულია ოქროს მედლებით. მათ რიცხვში ორი ქართველია — კ. ყრუაშვილი და გ. ბაქანიძე.

ბ. ესაკია.

სოხუმი.

---



**უმაღლესი ლიგა**

### მეორე ტაიმში უკეთესად

**კიევი, 25 დეკემბერი.** დღეს ადგილობრივ სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა: უკრაინის დედაქალაქის არმიელებმა სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს უმასპინძლეს. მატჩის პირველ ნახევარში სტუმრების უპირატესობა უმნიშვნელო იყო — 37:32. შესვენების შემდეგ მოსკოველებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს — 81:64.

**„ა" კლ. I ჯგუფი**

### რვიდან 8 ქულა!

I ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის სატურნირო ცხრილში ცვლილებები მოხდა. დაკარგული ქულების მიხედვით ლიდერობა

**სსრ კავშირის პირველობა**

მტკიცედ იგდო ხელთ რიგის არმიელთა კოლექტივმა. ბოლო მატჩებში მან სძლია ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა (103:86, 93:90) და ნიკოლაევის „სპარტაკს" (112:92, 102:83). რიგის ასკ-ს 8 ქულა აქვს 8-დან და ერთადერთი კოლექტივია, რომელიც დღემდე არ დამარცხებულა.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ლენინგრადში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ასკ და ტაგანროგის „ტრუდი". პირველი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 80:71, მეორე დღეს კი ტაგანროგელებმა რევანშის აღება შეძლეს — 90:87.

სარეკორდო შედეგით დამთავრდა ვილნიუსის „სტატიბასა" და ბაქოს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კალათბურთელთა პირველი ორთაბრძოლა ლიტვის დედაქალაქში — 127:88. მეორე მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს — 110:74.

კრასნოდარის „ტრუდმა" ქულა აართვა სვერდლოვსკის „ურალმაშს" მის მოედანზე. ეს მოხდა მეორე შეხვედრაში, რომელიც კრასნოდარელებმა მოიგეს ანგარიშით 83:68. პირველი მატჩი „ურალმაშმა" მოიგო — 99:78.

რიგის ვეფ-მა შინ ორივეჯერ 2 ქულით დაამარცხა ტაგანროგის „ტრუდი" — 77:75 და 88:86.

სატურნირო ცხრილში ჯერჯერობით I ადგილზეა დონეცკის „ავანგარდი", რომელმაც ბოლო ორ მატჩში აჯობა თბილისის „ბურევესტნიკს" — 89:64 და 69:65. დონეცკელ კალათბურთელებს 10 თამაშის შემდეგ 8 ქულა აქვთ. თბილისის „ბურევესტნიკმა" ამდენივე შეხვედრაში მხოლოდ 3 ქულა დააგროვა.

# ოლგა კორბუტმა დაიპყრო ინგლისელები

ეს ფრაზა შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, ვინაიდან ლაპარაკია ქვეყანაზე, რომლის სპორტული დიდება და ტრადიციები მთლიანად ფეხბურთსა და კრიკს ემყარება. და მაინც, კორბუტმა ბრიტანეთის კუნძულებზე მოიპოვა ყველა ჯილდო, რომლითაც კი სპორტის მოყვარულის გულმა შეიძლება თავისი გმირი დააჯილდოოს.

ბრიტანეთის ტელემაყურებლებმა ხმების დიდი უმრავლესობით 17 წლის გროდნოელი ტანმოვარჯიშე ყველაზე ბრწყინვალე „წლის სპორტულ ინდივიდუალობად" დაასახელეს. ბი-ბი-სის წამყვანმა სპორტულმა კომენტატორმა ა. უიქსმა საქართველოში იმოგზაურა, სადაც ოლია ისვენებდა, რათა მისთვის გადაეცა პრიზი — სატელევიზიო კამერის ვერცხლის მოდელი. ჯილდოს გადაცემის რეპორტაჟი ბი-ბი-სის პირველ პროგრამაში იყო შეტანილი.

ჟურნალ „უორლდ სპორტსის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე სპორტულმა ჟურნალისტებმა კორბუტი „წლის საუკეთესო სპორტსმენად" დაასახელეს. ფაქტიურად, ოლიას კვლავ ვერავინ გაუწია მეტოქეობა. „მან მთელი მილით ჩამოიტოვა დანარჩენი პრეტენდენტები", — მითხრა ჟურნალის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

საკვირაო გაზეთმა „სანდი პიპლმა", რომელიც მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის, ასევე მიმართა თავის მკითხველებს შეკითხვით: ვინ იყო 1972 წლის „№ 1 სპორტული ინდივიდუალობა?". რედაქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ე. საიქსი ამბობს: „ოლგა კორბუტმა ხმების დიდი უმრავლესობა მიიღო. ჩემს პრაქტიკაში ასეთი რამ ჯერ არ შემხვედრია".

საინტერესოა, რომ თავისთვის უჩვეულო II ადგილზე აღმოჩნდა მარკ სპიტცი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მიუნჰენის XX ოლიმპიადის წყლის ბილიკებზე, სადაც შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა. გაზეთის სიტყვით, ოლგამ იგი „გაანადგურა".

ოლგა კორბუტი, როგორც ცნობილია, მიუნჰენში აბსოლუტური ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ მისმა გამოსვლამ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყოველ შემთხვევაში, ინგლისელებზე. კორბუტის პოპულარობა გამოწვეულია არა მარტო მისი სრულყოფილი ოსტატობით, არამედ პირადი მომხიბვლელობითაც.

ბი-ბი-სისა და „სანდი პიპლის" გამოკითხვათა პასუხების მიხედვით, კორბუტის თაყვანისმცემელთა უმეტესობას სპორტის მოყვარულები არც კი შეადგენენ. ოლგაზე აღტაცებით ლაპარაკობს ის ხალხი, რომელიც თავის დღეში სტადიონზეც არ ყოფილა, ტანვარჯიშის დარბაზში კი არა.

აი, რას ამბობენ ინგლისელები ოლგა კორბუტზე:

— ამ სპორტსმენში საოცარი სისავსითაა განსახიერებული თვით ახალგაზრდობა, თვით სიხარული.

— ოლგა კორბუტი ფენომენია! განცდების ასეთი უშუალობა იშვიათია!..

— ოლგა ყველა უფროს ადამიანს აფიქრებინებს, ჩემი ლვიძლი ქალიშვილიაო.

„სანდი პიპლი" წერს: „ოლგა სპორტს ხელოვნებად აქცევდა და ეს ყველას საკუთარი თვალით შეეძლო ეხილა".

მილიონობით ინგლისელი კორბუტის გულშემატკივარი იყო.

— მე ვიცი, — მეუბნებოდა ერთი ჩემი ნაცნობი ინგლისელი ქალი, — ზოგი ტიროდა ტელევიზორის ეკრანთან, როცა კორბუტი ოლიმპიადის დროს ორძელიდან ჩამოვარდა.

მეც ვუყურებდი იმ კადრებს და დღემდე ყურში მიდგას ინგლისელი ტელეკომენტატორის ხმა, რომელშიც ნამდვილი სასოწარკვეთილება იყო ჩაქსოვილი...

სატელევიზიო კომპანია აი-ტი-ვის კომენტატორი ჰილი ამბობს: „მისმა გარეგნობამ, მისმა პიროვნებამ, მისმა ოსტატობამ დაიპყრო 1972 წელს სპორტული სამყარო. და მე, როგორც მილიონობით სხვას, თავდავიწყებით შემიყვარდა კორბუტი — ეს ჰინკა და ჯადოქარი გოგონა". ჰილის სიტყვით, საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ინგლისელ გოგონათა შორის თავისებური კულტი შექმნა და ყველას სურს ყველაფრით ოლგას ჰგავდეს.

პატარა საბჭოთა ლედიმ, ჰილის აზრით, სპორტული რევოლუცია მოახდინა, რომელიც [illegible] ქალაქ [illegible] ქალაქში ცხოვრობს [illegible] გოგონა, რომელთაც შეუძლიათ „ინგლისელ ოლგა კორბუტებად" იქცნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მწვრთნელი პოლინ პრესტიჯი, რომელიც მიუნჰენში ინგლისელ ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდს ახლდა.

— ტანვარჯიში, განსაკუთრებით ქალთა ტანვარჯიში, — გვიამბობს პრესტიჯი, — ინგლისში ნამდვილ ბუმს განიცდის. ამ ბუმის მიზეზია ოლგა, მისი ფანტასტიკური წარმატება მაყურებელთა შორის.

ოლიმპიადის შემდეგ პრესტიჯის სპორტული სკოლის ტანვარჯიშულ კლასებში მოსწავლეთა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა. გოგონები დიდხანს ელიან სკოლაში ადგილის გათავისუფლებას. პრესტიჯის სიტყვით, ისინი ყველაფერში ოლგას ბაძავენ, ვარცხნილობაშიც კი.

ბრიტანეთის ტანვარჯიშის მოყვარულები ცდილობენ პრაქტიკული სარგებლობა ნახონ კორბუტის წარმატებიდან. ისინი ოცნებობენ სპეციალური სკოლის შექმნაზე (საბალეტოს მსგავსად), სადაც ჩვეულებრივი სასწავლო კურსი სპორტულ მეცადინეობასთან იქნება შეხამებული. ამას ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი დასჭირდება. ვინ გაიღებს ფულს?

ვ. ვასილიევი.
(საკდესის კორ.).

ლონდონი.

* * *



სურათზე: მიუნჰენის ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელი ო. კორბუტი.

ვ. სოზინოვის ფოტო (საკდესი).

# კომპიუტერი ცდება?

ლონდონი, 26 დეკემბერი. სახელგანთქმული ინგლისური საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც იმ ცოტა ხნის წინათ „ბესტის გუნდსაც" უწოდებდნენ და რომლის მოთამაშეები დიდხანს ამშვენებდნენ ეროვნულ ნაკრებს, წლეულს უმაღლეს ლიგას დატოვებს. ასეთი დასკვნა „გამოიტანა" ინგლისის კერძო სატელევიზიო კომპანიის კომპიუტერმა. მაგრამ ამ ცნობას სენსაცია არ გამოუწვევია, ვინაიდან გუნდმა პროგნოზამდე რამდენიმე დღის წინ გამანადგურებელი ანგარიშით (0:5) წააგო მატჩი აუტსაიდერთან „კრისტალ პალასთან".

გამომთვლელი-ანალიტიკური მანქანის წინასწარმეტყველება „ლიდსთან" „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის წინადღით გამოქვეყნდა. „ლიდსს" კი მაღალი ადგილი უჭირავს სატურნირო ცხრილში. მაგრამ იმ რამდენიმე საათში, რომლებიც კომპიუტერის განაჩენსა და „ლიდსთან" შეხვედრას აშორებდა ერთმანეთს, მოხდა ამბავი, რომელიც უთუოდ გავლენას მოახდენს „მანჩესტერის" ბედზე. საქმე ის არის, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა გაათავისუფლეს მწვრთნელი ო'ფარელი და მის ნაცვლად შოტლანდიელი ტომი დოჰერტი დანიშნეს, თანაც ისე სწრაფად, რომ დოჰერტისთან კონტრაქტი ხელმოწერილი იქნა... ავტომობილში გლაზგოდან მანჩესტერში შოტლანდიელი სპეციალისტის ჩამოფრენისთანავე.

და აი, მატჩი „ლიდსთან". იგი „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრებს დიდხანს დაამახსოვრდებათ: მათმა თანაქალაქელებმა ძველი დრო გაიხსენეს და ბრწყინვალედ, ოსტატურად ითამაშეს. „ლიდსი" მხოლოდ ბოლო წუთებზე „გაექცა" წაგებას — 1:1. როგორც ფეხბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, სტადიონზე თავშეყრილი ათასობით მაყურებელი მოწმე გახდა გუნდის აღორძინებისა, რომელიც ახლა უკვე უბესტოდ თამაშობდა.

ბესტი კი რასა იქმს?

მის ბედზე ხანგრძლივი სპეკულაციური ცნობების შემდეგ გამოჩნდა ბესტის წერილი, რომლითაც იგი კლუბის ხელმძღვანელებს მიმართავდა. ცნობილი ფეხბურთელი კატეგორიულად აცხადებს: „მე გადავწყვიტე ფეხბურთი აღარ ვითამაშო და ახლა ვერავინ გადამათქმევინებს ამას". მაგრამ ბევრი სპორტული მიმომხილველი ეჭვობს, რომ ეს ბესტის საბოლოო სიტყვაა. მათ ჰგონიათ, რომ სპორტის მოყვარულები კვლავ იხილავენ ბესტის თამაშს, რომლის თეთრი „როლს-როისი" სხვა კლუბის გასახდელთან დგას, შესაძლოა, ოკეანის გაღმაც. „მანჩესტერ იუნაიტედში" კი, როგორც ამ კლუბის მესვეურებმა განაცხადეს, იგი არასოდეს ითამაშებს: ხელმძღვანელობას ყელში ამოუვიდა განებივრებული ვარსკვლავის კაპრიზები, სპორტული რეჟიმის ხშირი დარღვევა და გუნდიდან უცარი გაუჩინარება.

ვ. მანველოვი.

საქენი მოგვითხრობს

# • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABДARUGAS •

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს მანჩესტერში 50 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს, რომელიც, კომენტატორთა აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედის" წლევანდელი კატასტროფიული დაქვეითების დასასრულს უნდა ნიშნავდეს. მანჩესტერელები, რომელთაც ფ. ო'ფარელის ნაცვლად ახლა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ტ. დოჰერტი მეთაურობს, შეხვდნენ „ლიდს იუნაიტედს". დოჰერტისთვის ეს მეტად მძიმე გამოცდა იყო — მან გუნდი მხოლოდ წინადღით ჩაიბარა. მანჩესტერელებმა დიდი მონდომებით ითამაშეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვეტერანი ბ. ჩარლტონი, რომლის ჭკვიანურმა გადაცემებმა დამსწრეთ გაახსენა ის ძველი ბობი, რომელსაც მთელი ინგლისი ეთაყვანებოდა. ანგარიში მანჩესტერელებმა გახსნეს, მაგრამ მატჩის მიწურულს „ლიდს იუნაიტედმა" თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

„ლივერპულმა" შინ მოუგო „კოვენტრი-სიტის" (2:0), „ბირმინგემ-სიტიმ" და ლონდონის „არსენალმა" ფრედ ითამაშეს (1:1), „დერბი ქაუნთიმ" კი სტუმრად წააგო „სტოკ-სიტისთან" — 0:4.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 23 | 43:26 | 34 |
| „არსენალი" | 24 | 31:23 | 32 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 23 | 43:24 | 31 |

### შოტლანდია

შაბათს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სელტიკი" და ედინბურგის „ჰიბერნიენი". დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

„გლაზგო რეინჯერსმა" სტუმრად მოუგო „ისტ ფაიფს" — 4:0, „ჰართ ოვ მიდლოტიენმა" შინ წააგო „დანდისთან" — 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 16 | 47:16 | 28 |
| „ჰიბერნიენი" | 16 | 42:17 | 25 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 17 | 31:16 | 23 |

### გფრ

ჩემპიონატის XVII ტურში „კიოლნმა" შინ მოუგო ჩემპიონსა და გათამაშების ლიდერს — მიუნჰენის „ბაიერნს" — 2:1. დიუსელდორფის „ფორტუნამ" დაამარცხა ბრაუნშვაიგის „აინტრახტი" (2:0), ხოლო „ჰანოვერ 96"-მა და „ვუპერტალერ შპორტფერაინმა" ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 17 | 45:14 | 27 |
| „ფორტუნა" | 17 | 40:25 | 25 |
| „ვუპერტალერ შფ" | 17 | 30:16 | 21 |
| „შტუტგარტი" | 17 | 36:26 | 21 |
| „კიოლნი" | 17 | 33:24 | 21 |

### ჰოლანდია

როტერდამის „ფეიენოორდმა" თავის მინდორზე აჯობა დევენტერის „გოუ ეჰედს" — 2:1. ამსტერდამის „აიაქსმა" ადვილად მოუგო „მაასტრიხტს" — 4:0.

ენსხედეში ადგილობრივმა „ტვენტემ" წააგო როტერდამის „სპარტასთან" — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი" | 16 | 39:9 | 28 |
| „აიაქსი" | 16 | 55:10 | 26 |
| „სპარტა" | 16 | 40:14 | 23 |
| „ტვენტე" | 16 | 20:11 | 22 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ" მორიგი 2 ქულა ჩაიწერა: სტუმრად მოუგო დებიუტანტ „მონტიჟუს" — 1:0. ლისაბონის „ბელენენსეშმა" სტუმრად დაამარცხა „ბარეირენსე" (5:1), ლისაბონის „სპორტინგმა" კი შინ მოუგო სეტუბალის „ვიტორიას" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 15 | 49:5 | 30 |
| „ბელენენსეში" | 15 | 32:19 | 22 |
| „სპორტინგი" | 15 | 34:14 | 20 |

### ბელგია

„ფკ ბრიუგემ" შინ მოუგო „ბერინგენს" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფკ ბრიუგე" | 14 | 31:10 | 24 |
| „სტანდარდი" (ლიეჟი) | 14 | 20:10 | 19 |
| „რასინგ ვაიტი" (ბრიუსელი) | 14 | 28:6 | 18 |

### საფრანგეთი

ტურის ცენტრალური მატჩი შედგა მარსელში, სადაც ადგილობრივი „ოლიმპიკი" ნიმელ თანაკლუბელებს შეხვდა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1. ამასობაში „ნანტმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად „რედ სტართან" (3:1), ხოლო „ნიცამ" სტუმრად ფრედ ითამაშა „ვალენსიენთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიცა" | 19 | 43:23 | 28 |
| „ნანტი" | 19 | 35:17 | 27 |
| „ოლიმპიკი" (მარსელი) | 19 | 36:15 | 23 |

### იტალია

ტურის ცენტრალური შეხვედრა რომში გაიმართა, სადაც ადგილობრივი „რომა" მილანის „ინტერნაციონალეს" შეხვდა. მატჩისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ მეტოქეები ლიდერთა ჯგუფში არიან, არამედ იმითაც, რომ ერთმანეთს ხვდებოდა ელ. ერერას ორი გუნდი (იგი ამჟამად „რომას" წვრთნის, ხოლო უწინ — მილანის „ინტერს"). „რომაში" ერერას გადასვლის შემდეგ ამ ორი გუნდის შეხვედრათა ბალანსი ასეთი იყო: 3 მატჩი მოიგო „ინტერნაციონალემ", 2 — „რომამ", ხოლო 3 შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ამჯერადაც უპირატესობა „ინტერის" მხარეს იყო — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე" | 11 | 15:4 | 17 |
| „ლაციო" | 10 | 12:5 | 16 |
| „მილანი" | 10 | 25:11 | 15 |
| „იუვენტუსი" | 11 | 16:9 | 15 |

### ბულგარეთი

პლოვდივის „ლოკომოტივმა" შინ მოუგო სოფიელ თანაკლუბელებს — 5:1. ბურგასში ადგილობრივმა „ჩერნომორეცმა" სოფიის ცსკა-ს აჯობა — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (პლოვდივი) | 16 | 37:20 | 24 |
| ცსკა (სოფია) | 16 | 37:20 | 21 |
| „სლავია" (სოფია) | 16 | 22:13 | 21 |

### რუმინეთი

ბუქარესტის „სტიაუამ" ბრაშოვში სძლია ადგილობრივ „სტიაგულ როშუს" — 2:0. დებიუტანტმა „რეზიცამ" საკუთარ მინდორზე აჯობა ჩემპიონს — პიტეშტის „არჯეშს" (1:0) და ჩემპიონმა X ადგილზე გადაინაცვლა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა" | 15 | 27:12 | 20 |
| „დინამო" (ბუქარ.) | 15 | 23:15 | 19 |
| „იული" (პეტროსენი) | 15 | 22:19 | 18 |

### იუგოსლავია

სპლიტში ადგილობრივმა „ჰაიდუკმა" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" დაამარცხა — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა" | 17 | 34:11 | 26 |
| „ველეჟი" (მოსტარი) | 15 | 26:10 | 22 |
| ოფკ (ბელგრადი) | 17 | 23:16 | 21 |

(საკ. ინფ.).

### შესარჩევი თამაშები

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი შედგა ნაირობიში კენიისა და მავრიკიის გუნდებს შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2, მაგრამ ვინაიდან პირველი კენიელებმა მოიგეს (3:1), ისინი გათამაშების შემდგომ წრეში გავიდნენ.

ასეთივე წარმატებას მიაღწიეს ტუნისელებმა, რომლებმაც თავიანთ მინდორზე დაამარცხეს ეგვიპტის გუნდი — 2:0.

რედაქტორი ნ. ჭაჭავაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04762